RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ნატო-საქართველოს ურთიერთობები მიმდინარე ათწლეულში

ირაკლი სირბილაძე

186

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ირაკლი სირბილაძე

ნატო-საქართველოს ურთიერთობები მიმდინარე ათწლეულში

186

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

შესავალი

2022 წლის მადრიდის სამიტზე ნატომ ახალი სტრატეგიული კონცეფცია შეიმუშავა.[1] 2010 წლის სტრატეგიული კონცეფციის[2] განახლება ბუნებრივად განაპირობა 2010-იანი წლების მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, კერძოდ, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, უფრო მეტად საგარეო ასპარეზზე ორიენტირებულმა და ამბიციურად მზარდმა ჩინეთმა, ბრექსიტმა, დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ და ამ მოვლენის თანმდევმა გავლენამ ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე, ასევე პრეზიდენტად ჯო ბაიდენის არჩევამ და ტრანსატლანტიკური და დემოკრატიის დღის წესრიგის გაძლიერებამ. სტრატეგიული კონცეფციის განახლება დროული იყო, რამდენადაც პროცესი დაემთხვა 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის ხელახალ შეჭრას, რამაც ნატო-რუსეთის ურთიერთობები ისტორიულ მინიმუმზე დაიყვანა. ნატო იძულებული გახდა რუსეთთან 'ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობის' სურვილი დაეთმო და, სანაცვლოდ, რუსეთი დაახასიათა, როგორც „ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე მოკავშირეთა უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის."[3] 2030 წლისთვის ნატოს ახალი დღის წესრიგი ასევე მოიცავს საკითხებს, რომლებიც მყისიერ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს სცდება. საკითხები, როგორიც არის კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგია, ჯანდაცვა, კოსმოსური სივრცე და კიბერსივრცე, თანაბრად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ალიანსმა ახალი ათწლეულის გამოწვევებთან გამკლავება შეძლოს.

ტრადიციული და არატრადიციული საფრთხეების სიჭარბე მოითხოვს ალიანსის შიდა კონსოლიდაციას, თუმცა, ამავდროულად – არაწევრ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაღრმავებას. სწორედ ამ ძალისხმევის ნაწილია ნატოს ურთიერთობები საქართველოსთან – ასპირანტ სახელმწიფოსთან, რომელსაც აგრესიული რუსეთისგან საფრთხე ემუქრება და 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ უკრაინასთან ერთად წევრობის მოლოდინშია. 2008 წლის შემდეგ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობებმა ახალ ნიშნულს მიაღწია, თუმცა უკრაინასთან და საქართველოსთან მიმართებით ნატომ შეიმუშავა მიდგომა 'ყველაფერი მეხუთე მუხლის გარდა', რომელიც გულისხმობს პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით ძლიერ მხარდაჭერას, მაგრამ ორი ქვეყნის ალიანსში გასაწევრიანებლად მოწვევაზე უარის თქმას. [4]

მადრიდის სამიტის დეკლარაცია და ახალი სტრატეგიული კონცეფცია აჩვენებს, რომ ნატომ აღნიშნული მიდგომა არ შეცვალა უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზეც კი. სხვა თანაბარ პირობებში, მიმდინარე ათწლეულში საქართველოსთან ნატოს ურთიერთობები, სავარაუდოდ, 'ყველაფერი წევრობის გარდა' მიდგომაზე დაყრდნობით წარიმართება და ამავდროულად შემუშავდება თანამშრომლობის ახალი ფორმები, რომლებიც საქართველოს ნატოს გეოპოლიტიკურ ბირთვში მოაქცევს. წევრობის ვერ მიღწევა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რა თქმა უნდა, საფრთხეებს ქმნის, თუმცა ნატოსთან და მის წევრ ქვეყნებთან

საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობა რუსეთისთვის არის გზავნილი, რომ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას მოჰყვება მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური დანაკარგები. ეს, მართალია, ეხმარება საქართველოს შეამციროს (თუმცა – არა სრულად აღმოფხვრას) თავისი სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევები, ქვეყანა გარე გამოწვევების წინაშე უფრო მეტად დაუცველი იქნება, თუკი ვერ შეძლებს შიდა გაერთიანებას და დემოკრატიული მმართველობისა და საზოგადოებრივი მედეგობის გაუმჯობესების მიმართულებით გაძლიერებას.

ნაშრომში ჯერ მიმოხილულია ათწლეულების განმავლობაში ნატოსა და საქართველოს პრაქტიკული და პოლიტიკური თანამშრომლობის ევოლუცია, შემდეგ მოკლედ განიხილება ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნატოს გადაწყვეტილებაზე, არ დააწინაუროს საქართველო წევრობის გზაზე, შემდეგი ნაწილი ეთმობა მადრიდის სამიტის გადაწყვეტილებებისა და საქართველოზე მათი გავლენის ანალიზს და ბოლოს წარმოდგენილია, თუ როგორ შეძლებს საქართველო ახალი გამოწვევებით სავსე ათწლეულში გზის უკეთ გაკვალვას.

ნატოს და საქართველოს თანამშრომლობა 2022 წლის მადრიდის სამიტამდე

ნატოსა და საქართველოს ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სულ უფრო ვითარდება. ურთიერთობების ევოლუცია შესაძლებელია ოთხ პერიოდად დაიყოს: 1) დამოუკიდებლობის შემდეგ „ვარდების რევოლუციამდე", 2) „ვარდების რევოლუციიდან" 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე, 3) რუსეთ-საქართველოს ომიდან 2014 წელს ყირიმის ანექსიამდე და 4) ყირიმის ანექსიის შემდგომ.[5] ყოველ პერიოდს ახლდა ახალი ნიშნული, რასაც ურთიერთობების კიდევ უფრო გაუმჯობესება მოჰყვა, განსაკუთრებით კი, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, რამაც ნატოს საკუთარი უსაფრთხოების აღქმა შეაცვლევინა.

დამოუკიდებლობის შემდეგ „ვარდების რევოლუციამდე" პერიოდში საქართველო 1992 წელს უერთდება ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, რომელიც 1997 წელს ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო გახდა. ამ პერიოდში თანამშრომლობის ძირითადი ჩარჩოა „პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PfP) პროგრამა, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა. 2002 წელს საქართველო ოფიციალურად აცხადებს ალიანსში გაწევრიანების სურვილს, ხოლო 2004 წელს ნატოსთან „პარტნიორობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას" ათანხმებს.[6]

„ვარდების რევოლუციიდან" 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე პერიოდში, 2006 წელს, იწყება ნატოსთან „გაძლიერებული დიალოგი". სწორედ ამ პერიოდში იღებს საქართველო ვალდებულებას მონაწილეობა მიიღოს ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში. 2008 წლის აპრილში, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებით, საქართველოსა და უკრაინას უარი ეთქვათ „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის" (MAP) მიღებაზე, თუმცა მიიღეს დაპირება, რომ ერთ დღეს ისინი გახდებიან ალიანსის წევრები.[7]

2008 წლის რუსეთი-საქართველოს ომის შემდეგ იქმნება ნატო-საქართველოს კომისია (NGC), რის შედეგადაც ნატოსა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები ახალ ნიშნულს აღწევს. „წლიური ეროვნული პროგრამა“ (ANP) ანაცვლებს „პარტნიორობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას“ და ხდება ურთიერთობების განმსაზღვრელი ახალი ჩარჩო. 2010 წელს, თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, იხსნება ნატოს სამოკავშირეო ოფისი.[8] თუმცა, ორმხრივი ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი განახლება იწყება *რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის* შემდეგ. 2014 წლის უელსის სამიტზე საქართველო ხდება ახლად შექმნილი „თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის (DCB) ინიციატივის“ ნაწილი და იღებს „ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს“ (SNGP). ამ პერიოდში საქართველო სახელდება „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორად“ და ხდება შავ ზღვაში ალიანსის პოზიციების გაძლიერების სტრატეგიის ნაწილი.[9] 2020 წელს, ალიანსთან თავსებადობის გაუმჯობესების მიზნით, ახლდება „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“.[10]

ნატოსა და საქართველოს შორს მუდმივად მზარდი ურთიერთობების მიუხედავად, საქართველოს ჯერ არ მიუღწევია შედეგისთვის, რომელიც მისი საგარეო პოლიტიკის საბოლოო მიზანია – „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ მოპოვება და ალიანსის წევრობა. ნაშრომის შემდეგ ნაწილში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოს თავისი ამ მიზნების მიღწევაში წინ ეღობება.

ნატოს ‘ყველაფერი წევრობის გარდა’ მიდგომის განმაპირობებელი ფაქტორები

ნატოს გაფართოების საკითხი პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ გამუდმებით განიხილება.[11] არგუმენტის საფუძველს წარმოადგენს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე რუსეთის შესაძლო რეაქცია და, ამასთან ერთად, ნატოსა და რუსეთის კონფრონტაციის რისკი და შედეგად წარმოქმნილი ბირთვული კონფლიქტის შიში. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების მომხრეები ნატოს სტაბილურობის საფუძვლად მიიჩნევენ და ამის დასტურად მოჰყავთ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანება, რომლებიც ახლა ნატოს დაცვის ქვეშ იმყოფებიან.

გაფართოების თაობაზე დებატების მიუხედავად, საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკულ რეალობაში ნატოს საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით გაფართოებისადმი რუსეთის მკაფიო წინააღმდეგობამ დიდწილად განაპირობა იმ პოლიტიკის შემუშავება, რაც დღეს ორ ქვეყანასთან ნატოს ჩართულობას განსაზღვრავს: ეს გულისხმობს მათ წევრად მოწვევაზე უარის თქმას, დისკურსში ხაზგასმას, რომ მათ აქვთ უფლება თავად აირჩიონ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და მათთვის მზარდი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის გაწევას. საქართველოსა და უკრაინისთვის წევრობის მინიჭებაზე ალიანსის შიგნით კონსენსუსის ნაკლებობა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ნატოს ახლანდელ პოლიტიკას. კონსენსუსის ნაკლებობა, თავის მხრივ, განპირობებულია შიშით, რომ ორი ქვეყნის წევრად მიღება გამოიწვევს

რუსეთთან გარდაუვალ პირდაპირ კონფლიქტს, რასაც შედეგები ექნება ნატოს წევრი სახელმწიფოებისა და მათი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის ხელახალმა შეჭრამ, რასაც წინ უძღოდა რუსეთის მხრიდან ე.წ. ხელშეკრულებების[12] სამუშაო ვერსიის გამოქვეყნება, სადაც რუსეთი, სხვა საკითხებთან ერთად, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მიმართულებით ნატოს გაფართოების შეჩერებას ითხოვდა, ნატოს წევრი ქვეყნები რუსეთთან არაპირდაპირ კონფლიქტში ჩართო, რამდენადაც ისინი უკრაინას რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად საჭირო შეიარაღებას აწვდიან. ნატომ რუსეთის აგრესიას ძლევამოსილად უპასუხა და საკუთარი თავდაცვის პოზიციები მნიშვნელოვნად განაახლა.[13] რუსეთის აგრესიამ გამოიწვია ნატოში ფინეთისა და შვედეთის მხრიდან წევრობის განაცხადის წარდგენა. მადრიდის სამიტზე ნატომ ეს ქვეყნები წევრებად მიიწვია მას შემდეგ, რაც თურქეთს, შვედეთსა და ფინეთს შორის გაფორმებული სამმხრივი მემორანდუმით გადაილახა თურქეთის წინააღმდეგობა დაებლოკა მათი წევრობის განაცხადი.[14] ნატომ მხარდაჭერა გამოუთქვა მოლდოვას – კიდევ ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოს, რომელსაც ასევე ემუქრება რუსეთის აგრესიის საფრთხე.[15]

აღნიშნულის მიუხედავად, 2022 წლის მადრიდის სამიტის გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის ფონზეც კი ალიანსი კვლავ ვერ წყვეტს საქართველოსა და უკრაინისათვის წევრობის ან თუნდაც „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ მინიჭების საკითხს. შესაბამისად, წლების განმავლობაში ‘ყველაფერი წევრობის გარდა’ მიდგომა დარჩება ამ ქვეყნებთან ნატოს ჩართულობის მთავარ მამოძრავებელ პრინციპად.

მადრიდის სამიტი და ახალი სტრატეგიული კონცეფცია: შედეგები საქართველოსთვის

მადრიდის სამიტი წარმოადგენს ახალ ნიშნულს, რომლის ფარგლებშიც ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება. მსგავსად 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ნატოს პოლიტიკის ცვლილებისა, 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის ხელახალმა შეჭრამ საფუძველი ჩაუყარა ნატოს გადაწყვეტილებას პარტნიორული ურთიერთობების დამატებით გაძლიერების შესახებ.

ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ნატომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ღია კარის პოლიტიკისადმი ერთგულება და ნატოს გაფართოება დაახასიათა, როგორც „ისტორიული წარმატება“. ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად მნიშვნელოვანია, რამდენადაც რუსეთს უარი ეთქვა უფლებაზე, საკუთარი გავლენის სფეროში ჰყავდეს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები, რასაც ის გამუდმებით უსვამს ხაზს. სტრატეგიული კონცეფცია რუსეთს შემდეგნაირად აღწერს: „ის ცდილობს შექმნას გავლენის სფერო და ძალადობის, სუბვერსიის, აგრესიისა და ანექსიის გზით პირდაპირი კონტროლი დაამყაროს“.[16]

გარდა ამისა, სტრატეგიული კონცეფცია აღიარებს ნატოს წევრი ქვეყნებისა და ასპირანტი სახელმწიფოების უსაფრთხოების ერთმანეთზე დამოკიდებულებას. კონცეფციაში მოცემულია ნატოს ვალდებულება სამ ასპირანტ ქვეყანასთან პარტნიორობის განვითარების მიმართულებით და კვლავ ადასტურებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ნატომ მიიღო „2008 წელს ბუქარესტის სამიტზე და ყველა სხვა გადაწყვეტილებას საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებით“.[17]

ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში დასავლეთ ბალკანეთის რეგიონთან ერთად შავი ზღვის რეგიონი ხასიათდება, როგორც „ალიანსისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე“ და მასში აღწერილია ნატოს ვალდებულება, მხარი დაუჭიროს „ამ რეგიონებში დაინტერესებული ქვეყნების ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“.[18] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც მუდმივად ითხოვს რეგიონში ნატოს როლის გაზრდას.

მადრიდის სამიტზე ნატომ, „ევროპაში შეცვლილი უსაფრთხოების გარემოს ფონზე“, საქართველოსა და სხვა ასპირანტი ქვეყნებისთვის მხარდაჭერის განახლების შესახებ განაცხადა. მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს მიიღონ „ახალი ზომები, რათა გააძლიერონ პარტნიორებისადმი, მათ შორის ბოსნია და ჰერცეგოვინას, საქართველოსა და მოლდოვისადმი, საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა“ და იმუშაონ „მათი მთლიანობის და მედეგობის შესაქმნელად, განავითარონ მათი შესაძლებლობები და განამტკიცონ მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა“.[19]

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ ნატოს მადრიდის სამიტმა საქართ-ველოს ინტეგრაციის ახალი ინსტრუმენტები მოუტანა, მაგრამ ვერ უზრუნველყო წევრობის მიმართულებით ქვეყნის ახალ ეტაპზე გადაყვანა. რამდენადაც ეს შეიძლება წარმოადგენდეს არასასურველ მოცემულობას, ასეთია სტრატეგიული გარემო, რომელშიც საქართველოს მოუწევს დაგეგმოს საკუთარი ქმედებები იმ ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომელთა წინაშეც დგას და შესაძლოა მომავალში დადგეს.

დემოკრატია, ნატოსთან თავსებადობა და მედეგობა: საქართველოს გზამკვლევი არასტაბილურ ათწლეულში

საქართველო რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე მრავალმხრივი ტრადიციული და არატრადიციული საფრთხეების წინაშე დგას. 2008 წლის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი კონფლიქტის არარსებობის მიუხედავად, ე.წ. ბორდერიზაციის პრაქტიკა, რომელიც მდგომარეობის გამძაფრების რისკს ქმნის, და რუსეთის მიერ სეპარატისტული კონფლიქტების გამოყენება იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს საქართველოს სტრატეგიულ მიმართულებაზე, საქართველოსთვის წუხილის საგანია. რუსეთის პირდაპირი აგრესია სრულად ვერ გამოირიცხება – თუმცა, რუსეთს, სავარაუდოდ, გაუჭირდება რამდენიმე ფრონტზე ომის წარმოება – დასავლეთსა და რუსეთს შორის მზარდი დაპირისპირების

ფონზე, რაც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის გეოპოლიტიკურ ბირთვს კიდევ უფრო აახლოებს. არც საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებაა სრულად უზრუნველყოფილი, რამდენადაც რუსეთზე ქვეყნის დამოკიდებულება იზრდება[20], ხოლო რუსეთი შემჩნეულია ეკონომიკური ბერკეტების სამიზნე ქვეყნებში განხეთქილების დასათესად გამოყენებაში. კიბერთავდასხმები და დეზინფორმაციის კამპანიებიც საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის ქვაკუთხედია.

არასტაბილურ სტრატეგიულ გარემოში გზის უკეთ გასაკვალად და საქართველოს ნატოში გაწევრიანების დადებით მხარეებში მოკავშირე სახელმწიფოების დასარწმუნებლად, აქტიური დიპლომატიის წარმართვასთან ერთად, საქართველომ საკუთარი პოლიტიკა სამ ძირითად სვეტს უნდა დააფუძნოს: დემოკრატიის კონსოლიდაციას, ნატოსთან თავსებადობას და მედეგობას. ეს არის საყრდენი, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებისათვის აუცილებელი წინაპირობა იქნება მაშინ, როდესაც სტრატეგიული გარემო ასეთ შესაძლებლობას მისცემს.

დემოკრატიის კონსოლიდაცია

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა საქართველოსთვის ისეთი სტრატეგიული შესაძლებლობები გააჩინა, რომლებიც აქამდე წარმოუდგენელი იყო. ევროკავშირმა საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა და უკრაინის, მოლდოვის და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოს ევროკავშირის წევრად მოიაზრებს. ნატოს მადრიდის სამიტის გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა ორგანიზაციაში საქართველოს წევრობის საბოლოო მიზანის მიღწევა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც ქვეყანა დასავლეთის გეოპოლიტიკური ბირთვის შემადგენელი ნაწილი ხდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუკი საქართველო წარუმატებელი იქნება დემოკრატიის კონსოლიდაციისა და რეფორმების განხორციელების გზაზე. ამასთან, მართალია, სტრატეგიული საჭიროებები ნატოს მიერ დაწესებულ დემოკრატიულ პირობითობას, სავარაუდოდ, გადაწონის, კონსოლიდირებულ დემოკრატიად ჩამოყალიბება აქრობს იმ წინაღობებს, რომლებიც გაწევრიანების პროცესში კონსოლიდირებული დემოკრატიის არქონის შემთხვევაში იჩენს თავს.

ნატოსთან თავსებადობა

ნატოს ძალებთან თავსებადობა ნატოში ინტეგრაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდა ნატოს სტანდარტებთან დაახლოების მხრივ, განსაკუთრებით, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობითა და ნატოს წევრ ქვეყნებთან რეგულარული ერთობლივი წვრთნების ჩატარებით. საქართველომ უნდა გააგრძელოს მონაწილეობა ნატოს ეგიდით ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში, მათ შორის, საზღვაო წვრთნებში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რაც ნატომ საკუთარ ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში გამოაცხადა – რომ შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

მედეგობა

საქართველომ უნდა იმუშაოს უფრო მედეგი სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაქმნელად, რომელსაც საგარეო გამოწვევების პირობებში გაერთიანება შეუძლია. მედეგობა ალიანსის ფუნქციონირების ძირეული კომპონენტია და, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს სტრატეგიულ სისუსტეებსა და დამოკიდებულებებთან გამკლავებას, სამოქალაქო მზადყოფნის უზრუნველყოფას და სტრატეგიული გამოწვევების შემდეგ სწრაფად აღდგენას.[21] მედეგი სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაქმნელად საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვასა და სტრატეგიულ სექტორებში რუსეთზე დამოკიდებულებასთან გამკლავებაზე. გარდა ამისა, ქვეყანამ უნდა გააძლიეროს სამოქალაქო მზადყოფნა და მიმართოს ძალისხმევა ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ. შიდა სისუსტეებთან გამკლავება არის საჭირო პირობა იმისათვის, რომ საქართველომ მიმდინარე ათწლეულში საკუთარი საგარეო-პოლიტიკური მიზნების განხორციელება შეძლოს.

დასკვნა

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ათწლეულებია ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ძალაშია ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს წევრობას ჰპირდება, წევრობა ჯერჯერობით მიუღწეველია, რაც განპირობებულია უკრაინისა და საქართველოს მიმართ ნატოს პოლიტიკით – ‘ყველაფერი წევრობის გარდა.’ ამ პოლიტიკის საფუძველია მიდგომა, რომელიც ასპირანტი სახელმწიფოების პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას გულისხმობს. ამისთვის არსებობს შესაბამისი მექანიზმები, კერძოდ, ნატო-საქართველოს კომისია და „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“, რომლებიც რეგულარულად ახლდება. ამასთან, ალიანსის შიგნით კონსენსუსის ნაკლებობა, რომელიც რუსეთთან პირდაპირი კონფლიქტის შიშითაა განპირობებული, ზღუდავს ნატოს შესაძლებლობას, რომ საქართველოს და უკრაინას პირდაპირ გაწევრიანების გზა შესთავაზოს.

ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ და ნატოს მადრიდის სამიტის დეკლარაციამ აჩვენა, რომ მიმდინარე ათწლეულში ნატო პარტნიორ ქვეყნებთან სწორედ ამ მიდგომაზე დაყრდნობით წარმართავს ურთიერთობებს. საქართველომ ანგარიში უნდა გაუწიოს ამჟამინდელ სტრატეგიულ რეალობას, განაგრძოს მყისიერი წევრობის საჭიროების მტკიცება და თან ნატოსკენ მიმართული თავისი სამომავლო პოლიტიკა დემოკრატიის კონსოლიდაციის, თავსებადობისა და მედეგობის სამ სვეტს დააფუძნოს. ეს არის ნატოში გაწევრიანების ის წინაპირობა, რომელიც საქართველოს სჭირდება, როცა სტრატეგიული გარემო მას ამის შესაძლებლობას მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია იხ.: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf
2. ნატოს 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია იხ.: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_82705.htm
3. NATO 2022 Strategic Concept, გვ. 4
4. Irakli Sirbiladze. 2022. "Everything but Article 5: NATO-Georgia and NATO-Ukraine Relations amid the New Strategic Context." *Think Visegrad/Centre for Euro-Atlantic Integration and Democracy*. გვ. 1-27
5. იქვე, გვ. 10
6. იქვე, გვ. 10-11
7. იქვე, გვ. 11
8. იქვე.
9. იქვე, გვ. 12
10. Ministry of Defence of Georgia. 2020. "Updated SNGP Approved within Meeting of NATO Ministers of Foreign Affairs." https://mod.gov.ge/en/news/read/8026/updated-sngp-approved-within-meeting-of-nato-ministers-of-foreign-affairs
11. ნატოს გაფართოების საკითხთან დაკავშირებით ყველაზე სიღრმისეული განხილვა იხ.: Mary E. Sarotte. 2021. *Not One Inch: America, Russia and the Making of Post-Cold War Stalemate*. Yale University Press
12. Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. 2021. "Agreement on Measures to Ensure the Security of the Russian Federation and Member States of the North Atlantic Treaty Organization." https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790803/?lang=en
13. NATO 2022. "Madrid Summit Declaration Issued by NATO Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Madrid 29 June 2022." https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm
14. იქვე.
15. იქვე.
16. იქვე.
17. NATO 2022 Strategic Concept, გვ. 10
18. იქვე, გვ. 11
19. NATO 2022. "Madrid Summit Declaration Issued by NATO Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Madrid 29 June 2022." https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm
20. Transparency International Georgia 2022. "Georgia›s Economic Dependence on Russia: Trade, Tourism, Remittances and Russian companies in Georgia." https://www.transparency.ge/en/post/georgias-economic-dependence-russia-trade-tourism-remittances-and-russian-companies-georgia
21. NATO 2022 Strategic Concept, გვ. 7